


3338



სასოფლო გაზეთი



გაზეთის ფასი:

თბილისში	ბაზუგავენლათ:
გარეშე ადგილებში:	მან.
წლისა — 4 მან.	— 3
ახვერის წლისა — 3 —	— 2
ამისთვის — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

მეორე წელიწადი

ბამოლის შაბათობით.

ხელის-მოწერა შიილება:

თბილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.
 თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-о.

276

შოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თბილისში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში.

№ 7. შაბათი.

II.

5 აპრილს 1869 წ.

შინაარსი:

თბილისი, 7 აპრილს.—მიწის ძერა და ცეცხლი მქმნიანეი მთები.—მუშაობის გაელენა აცის ცხოვრებაზე.—ჩრევა დედათ-თვის ყმა-ცილის აღზრდაში.—მრი წლის მოქმედების განიღვა.—ქაკასის სამეურნეო საზოგადოებისა.—ლექი: მინსერის დედაკაცები.—სოფლის ცნობები. სხვა სხვა ამბავი.—სბიბლიოგრაფო ცნობა.

თბილისი, 7 აპრილს.

წარსულის წლის ნოემბრის თვეში დაბეჭდილ „სასოფლო გაზეთში“ იყო მოყვანილი მაგალითი, თუ რა რიგათ უნდა მოხდეს ამულების დასახსნელი ფულის გამოანგარიშება, რომელსაც მთავრობა სესხათ აძლევს ლეხთა. ეს მაგალითი უფრო იმისთვის იყო აჩვენები, რომ სოფლელებს ცხადათ გაეცნოთ ის წესი, რომლის თანახმათ მოხდებოდა ამულების შესყიდვა მთავრობის შემწეობით. მაგრამ როგორც შეეცყვეთ სხვა-დასხვა ალაგებზე, განსაკუთრებით ძახეთისაკენ მიმდებარე ხალხს ვერ გაუგია, თუ რისთვის იყო ეს მაგალითი დაბეჭდილი და ამის გამოაუწყიათ ლაპარაკი, ვაი თუ მართლა იმდენად ადგილი მოგვიჭრან მართო, რამდენიც მაგალითშიაო მოხსენებული, აგრეთვე იმასაც შეეჭრობდენ, მაგალითში რომ ფასებია გამოცხადებული მიწებზე, იმაზე მომეტებულათ ღარ დაფასდება არც სარწყავი დლიურისა და არც ურწყავიო. ამ სახით სოფლელებს შეეძგნათ აზრი, რომ აი, ბატონო, გაზეთში მოგვიცხადეს მხოლოდ ამდენი-და-ამ-

დენი დლიური უნდა მოგვეცესო და დლიური მიწის ფასიც იქვეა ნაჩვენებო, აღარც იმაზე მეტს მიწას მოგვეცემენ და რაც იქ არ არის ნაჩვენები, არც ფასს გამოგვართმევენ მეტსაო. ეს აზრი ტყუილია. რაც სასოფლო გაზეთში იყო მოხსენებული ან დლიური მიწების რიცხვი, ან ფასი თითო დლიურისა, ის მაგალითად არის აღებული და არა ნამდვილათ. რაც ნადელათ მისცემია გლეხსა, ის შეუძლიან სულ შეისყიდოს იმან და, დლიური მიწის ფასი სარწყავისა, და ურწყავი ადგილებისა მებატონის და გლეხების თანხმობით უნდა დაიდვას. თუ ისინი ფასზე ვერ მოერიგდენ ერთმანერთში, არც მამულის შესყიდვა იქმნება შესაძლებელი.

დაბეჭდილს მაგალითშია მოხსენებული: „შთქვათ პირველ გლეხს სამოსახლო მიწა ექვსასი კვადრატის საყენი აქვს და ველის მიწები: სარწყავი ორი დლიური, ურწყავი, მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერი სამი დლიური და ურწყავი ხუთი დლიური.“

მეორე გლეხს—სამოსახლო მიწა ოთხასი კვადრატის საყენი და ველის მიწები:—სარწყავი ორ ნახევარი დლიური, ურწყავი, მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერი ორი და სამი მეოთხედი დლიურისა და ურწყავი რვა დლიური.

მესამე გლეხსაც—სამოსახლო მიწა ათას-ორასი კვადრატის საყენი და ველის მიწები: სარწყავი სამი დლიური, ურწყავი მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერი ორი და ერთი მეოთხედი დლიურისა.“

ფიერი ორი და ერთი მეოთხედი დლიურისა და ურწყავი ცხრა და ნახევარი დლიურისა.“

არც ერთი გლეხის მამულები აქ ნამდვილათ ნაჩვენები არ არის: რაც მამულები თითო გლეხის წილშია ნაჩვენები, შეიძლება ყოველს გლეხს ბევრათ მეტი ჰქონდეს ამაზე ან ნაკლებიცა. მე დებულების ოქმშია ნაჩვენები და რაც იქ არის გამოყვანილი, იმას ვერც მოუკლებენ და ვერც მოუმატებენ მებატონისა და გლეხების შეუთანხმებელათ. შემდეგ დასახსნელ სესხის საანგარიშებელ მაგალითში სწერია: „ეს გლეხები დებულების ოქმით იხდიან გადასახადს ფულითა და ვალდებულნი არიან ყოველ წლობით მებატონეს აძლიონ, — პირველმა გლეხმა სამოსახლოზე მანეთ ნახევარი და ველის მიწებზე: სარწყავზე ყოველ დლიურში სამ-სამი მანეთი, ურწყავზე, მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერზე მანეთი და სამ აბაზ უხალთუნი და ურწყავი ექვსი აბაზი.“

მეორე გლეხი—სამოსახლო მიწებზე აძლევს თითო მანეთს და ველის მიწებზე თითო დლიურისაზე, — სარწყავზე ცხრა აბაზს, ურწყავზე მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერზე ცხრა აბაზს და ურწყავზე ოთხ აბაზ უხალთუნს.

მესამე გლეხიცა—სამოსახლოსთვის აძლევს სამ-სამ მანეთსა და ველის მიწებზე თითო დლიურისაზე სარწყავში რვა აბაზს, ურწყავში მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერი ორი და ერთი მეოთხედი დლიურისა.“

ყოფიერში მანეთ ნახევარს და ურწყავ-
ში ოთხ აბაზს.“

რაც აქ ფასებია გამოცხადებული სარწყავ-
სა და ურწყავს მიწებზე, არც ერთი ნამდვილი
არ არის. ნამდვილი ფასი, როგორც ზემოთ
ვსთქვით, მებატონეებმა და გლეხებმა უნდა
დასდენან, როცა ერთმანერთში მორიგდებიან
და შეთანხმდებიან. ჩვენ მხოლოდ მიხედ-
ვით დავსწერეთ ეს ფასები და ნამდვილი არა-
ვის კი არ უნდა ეგონოს. რაც ფასი, ან მა-
მულეებია მაგალითში ნაჩვენები, ის ჩვენ და-
ვებულებით იმისთვის რომ ამ ნაირათ უფრო
ცხადათ გაგვეგებინებინა მკითხველებისათვის,
თუ როგორი წესით უნდა მოხდეს მებატონ-
ნის მამულების შესყიდვა გლეხებისაგან. და
როცა შესყიდვაზე მივა საქმე, მაშინ რასა-
კვირველია გლეხებისა და მებატონის მოუ-
რიგებლათ ერთმანეთში არა მოხდება რა და
არცარა ფასი არ დაიდება.

**მიწის ძვრა და ცეცხლ მქშინა-
ვი მთებში.**

ამას წინათ ჩვენს მკითხველებს ვუამბეთ
თუ რა უნდა იყოს მიწის ძვრის მიზეზი ან
რის გამო ამოქუხს ზოგიერთ მთიდგან ცე-
ცხლი და გაღვავალი მიწის გული. ახლა გვი-
ნდა მოუთხროთ მკითხველებს ზოგიერთი
საკვირველი მოვლენა, რომელიც მოხდა ცე-
ცხლის ამოქუხების გამო მთის წვერის სიღ-
რმიდგან. ჩვენ დავიწყებთ ძველიდგან მოკი-
დებული ჩვენ დრომდის და ძრისტეს მოსე-
ლის წინათ და შემდეგ რაც რამე მომხდარა
ამ გვარი, ყველას გაიამბობთ.

ჩვენ მკითხველებს გაეგონებათ, რომ ძრი-
სტეს მოსელის წინათ დასავლეთით ყოფილა
ერთი ძლიერი ერი, რომელსაც სახელად რო-
მაელები რქმევია. ეს ერი ძრისტეს მოსე-
ლის წინათ ისე ძლიერი ყოფილა, რომ მთე-
ლი ქვეყანა დაუჭერია და ჩვენც ქართველნი
ვეყოფილვართ ერთ დროს იმათ მონებაში.
სამოციქულოშიაც ხშირად გაეგონება ჩვენს
მკითხველებს, პავლე მოციქულის მიწერილი
წიგნები ამ ერთან, რომელსაც უქადაგებდა
ძრისტეს სარწმუნოებას; საყდარში ხშირად
დაიწყებს ხოლმე დიაკონი სამოციქულოს კი-
თხვას ამ სიტყვებით. „რომაელთა მიმართ ები-
სტოლენ წმინდისა პავლე მოციქულისა საკი-
თხავი. — ეს სიტყვები თარგმანით ნიშნავს —

ვიკითხოთო რომაელებთან მიწერილი წიგნი
პავლე მოციქულისაო.

ძველათ რომ კეისრებს ეძახდნენ ისინი
იყენენ ამ ერის ხელმწიფეები. ძველ დროში
ეს ერი სხვებზე უფრო ნასწავლი და განათ-
ლებული იყო. მართი იმათგანი სწავლული
აი რას მოგვითხრობს საშინელს მიწის ძვრაზე
რომელიც იმის დროს მოხდა იტალიაში. ამ
მიწის ძვრის შემდეგ იქ მდებარე ვეზუვიის
მთიდგან ამოდინდა იმდენი გაღვავალი მიწის
გული და ფერფლი, რომ ორი დიდებული
ქალაქი ბერკულანუმი და პომპეოსი სახლე-
ბიან მცხოვრებლებიან დაიტანა.

ძრისტესშობის აქეთ სამოცდა სამს წელს შემ-
დეგ მოხდა საშინელი მიწის ძვრა ვეზუვის მთის
გარემოებზე და ძალიან შეარყია ეს ორი ქა-
ლაქი ბერკულანუმი და პომპეოსი. თექვსმე-
ტმა წელმა რომ გაიარა ამას შემდეგ ვეზუ-
ვის მთის წვერმა საზარლათ ამოიქშინა და
შემდეგ ამოდინდა გაღვავალი მიწის გუ-
ლი, რომელსაც ეტყვიან სწავლულები ლავას,
ჩვენებურათ დავარქვით მიწის ნადული.

რომაელი სწავლული პლინიოს უმცროსი
ცოცხლათ აგვიწერს ამ ამბავს და ჩვენც მო-
კლეთ გაიამბობთ იმ წერილობას: სამოცდა
სამი წლიდგან დაწყებული ვეზუვიის გარემო-
ადგილებზე დაიწყო მიწის ძვრა ყოველ წლო-
ბით თექვსმეტის წლის განმავალებაში და
რაც უფრო ხანი გადიოდა, ისე მიწის ძე-
რასაც თანდა თან უფრო ემატებოდა, ბოლოს
სამოცდა ცხრამეტს წელს აგვისტოს თვეში
ისე მოუხშირა მიწის ძვრამა, რომ ყველას სა-
ექვეოთ ჰქონდა ვაი თუ ქალაქები მთლად
ერთიანად დაიქცესო; ვეზუვის ამოხეთქის წი-
ნათ დღეს მაინც ისე საშინელი მიწის ძვრა
იყო, რომ ბევრი სახლები დააქცია, ქალაქე-
ბში მეორე დღეს დილა მშვიდობიანი გათე-
ნდა და ყველასაც ეგონა, რომ უბედურება
მოგვშორდა თავიდგანაო. მაგრამ ნაშუადღის
პირველს საათზე, უფროსი პლინიოსი რომ
თავის გემებით იდგა ზღვაში ვეზუვიასზე მო-
შორებით, შეჰნიშნა ვეზუვიის წვერზე შა-
ვი ღრუბელსაგით სქელი კომლი, რომელიც
სვეტათ აღიოდა ვეზუვიის წვერიდგან და ზე-
ვით ისეთი განიერი ქოჩორი გაეკეთებინა
ამ კომლსა, რომ მშვენიერს ცაცხვის
ხეს ჰგავდა. მერც პლინიოს და ვერც იმასთან
მყოფთა ვერ შეიტყეს, რა უნდა ყოფილიყო
ეს საკვირველი მოვლენა. ამ ცაცხვის მგზა-

ვსათ ასულ კომლიდგან მალი იწყო ქვის ვა-
რდნა, ნაცრისა და ლოდებისა. ბოლოს კო-
მლი დაეშვა ძირს ადგილებს და ზღვა და წმე-
ლეთი ლამით მოიცივა; დროსა და დროს განმა-
ვლობაში მთის წვერზე გაიკლებდა ხოლმე
ცეცხლი. საშინელი სანახავი იყო ამ დროს
ეს არე მარე; მიწა თანდა თან მალლა იწვედა
ზღვა უეცრად სცილდებოდა ხმელეთსა, მთის
წვერი ელვასავით ხან და ხან ანათებდა და
იქიდგან წვიმდა მიწაზე ნაცარი, ქვა და ტალა-
ხი. უფროსს პლინიოსს ჰსურდა შეეტყო, რა
ამბავი იყო ხმელეთზე და ამისთვის გაემართა
თავისი ხომალდებით კიდისკენ, მაგრამ როგო-
რც კი ხმელეთზედ გამოვიდა, მაშინვე დაეხე-
თაზე გოგირდის ალი, და იქვე მოკვდა. ამ
ამბის აწერილობა დაგვიტოვა უმცროსმა პლი-
ნიოსმა, რომელიც იმ დროს ხომალდზე იყო.

ამ ასის წლის წინათ იტალიაში ნეპოლის
ქალაქის მახლობლათ ჰას სთხრიდნენ და მი-
წის ქვეშ აღმოაჩინეს ძველი ბერკულანუმის
თეატრი, მერე სახლები, აბანოები, ძველები
(ქვის ნაკეთები სურათები) და ყველაზე უფრო
სასიამოვნო ის იყო, რომ ნახეს ბიბლიო-
თეკა, სადაც მრავალი ხელნაწერი ძველი წი-
გნები იყო.

ამ წიგნებში ზოგი ისეთი მწერლებისაგან
არის დაწერილი, რომ იმ დრომდის არ იცნო-
ბდნენ იმათ. ზოგი იმ წიგნებთაგანი დაბეჭდი-
ლია ეხლა, მაგრამ მრავალი სხვა ხელნაწერი
იქ ნაპოვნი აქამდის არ არის განხილული.

მეორე ქალაქი პომპეოსი კი არ იყო ისე
ღრმათ ჩაფლული მიწაში; ზოგიერთი სახლე-
ბის კედლები ამოშვერილი იყო მიწიდგან.
ამ ადგილსაც დაუწყეს თხრა და აღმოაჩინეს
მთელი ქალაქი. აქ თქვენ დაღიხართ ძველი
ქალაქის ქუჩებზე, შეხვალთ სახლებში და ი-
დაგიხვდებათ უწინდელი მცხოვრებლების ძე-
ლები, შეამჩნევთ, რომ ზოგნი თითქოს მა-
შინ მომკედარან, როდესაც ცდილან გაქცე-
ვასა. საკვირველი რამ სანახავია ყველა ესენი.

ამას შემდეგ ვეზუვი ხშირათ ამოიქუხებდ
ხოლმე და ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო
ამოქუხვა ვეზუვიისა ასის წლის წინათ, რომ
მელიც აღწერა მშვენიერათ ერთმა ანგლიე
ლმა მოგზაურმა ბამილტონმა. ჩვენ აღარ
მოვიყვანთ ამ აღწერას უფრო იმისთვის, რომ
გვეშინია ეს მოთხრობა ძალიან არ გავგე-

ლდეს, რადგან ზოგიერთ ცეცხლ-მქმინაე მთებზე კიდევ გვინდა ვილაპარაკოთ.

ახლა რაც შეიძლება მოკლეთ ავსწეროთ ერთი დიდი ამოქუხვა მიწიდგან, რომელიც მოხდა ჩვენზე დაშორებულს ქვეყანაში მექსიკაში, ამ ას ოცი წლის წინათ.

უნდა ვთქვათ, რომ ამერიკაში მთელს ერთ მხარეზე ზღვის კიდესა მიიგრინებთან მრავალნი ცეცხლ მქმინანნი მთის წვერნი. მექსიკაში და საშუალო ამერიკაში ოცდა ორია ამისთანა მთის წვერი.

მრთს მექსიკის მაზრაში ორ მდინარეს შუა მდებარებდა მშვენიერი მდელი, მინდორი, რომელზედაც ერთობ ბევრი ბამბა მოდიოდა. მს მდელი ეკუთვნოდა ერთს მემამულეს ღონ-პედრო ხურულოს. ის იყო კარგი მიწის მომუშავე, მდიდარი ოჯახის პატრონი და რასაკვირველია სრულებითაც ვერ იფიქრებდა იმ უბედურებას, რომელიც მას ეწია.

მაგრამ ას ოცის წლის წინათ თიბათეში ამ ადგილზე მოისმა მიწის ქვეშეთიდგან საზარელი ხმა. ამას შემდეგ ხშირად დაიწყო მიწამაც თრთოლვა, რომელიც მუდამ დღე მოხდებოდა ხოლმე, სამოცი დღის განმავლობაში; მაგრამ ამის მერე მიწა დაწყნარდა და ეგონათ, რომ არე-მარე უწინდელს მყუდროებას მიეცა. ღამით ოცდა რვა სექტემბერს უეცრად მოისმა საშინელი ხმაურობა. თავზარ დაცემული მცხოვრებლები შეშინებულნი აქეთ-იქით გაიქცნენ. მიწა ხუთ ვერსზე სიმრგვლით აიბერა ორმოცდა სამ საჟენ სიმაღლეზე. იქიდგან ამოჰქუხდა ცეცხლის ალი ერთი ვერსის სიმრგვლეზე. შეშინებული კაცები მოშორებით მთაზედ ავიდნენ და იქიდგან ხედავდნენ, რომ მიწა თითქოს გაღზავალი ყოფილიყო სიტბოსაგან, ხან ამოიბერებოდა და ხან ჩავარდებოდა, როგორც აღვლევებული ზღვა. მიწის პირი ბევრგან გაიღო და შიგ ჩადგრა ის ზემოხსენებული ორი მდინარე მაგრამ გაქრობის მაგიერათ ცეცხლის ალი თითქოს კიდევ უფრო გაძლიერდა იმ წყლის ჩადენით. ბოლოს მთელი მინდორი გაივსო მდულარე მიწის ნადუღითა. მაგრამ ყველაზე საკვირველი იყო გამსქდარი მიწის პირი, რომელიც ისროდა ცეცხლს, გავარვალებულს ქეებს და ფერფლს. მს ამონასროლი ქეები, ფერფლი და ნადუღი იმდენი დაგროვდა, რომ გააკეთა მთის წვერი, სიმაღლით თითქმის ნახევარი ვერსი. მხლა ამ მთას ეძახიან ხორუ-

ლოს. ოცდა ხანს შემდეგ მიწაში ჩამძვრალი ორი მდინარე ისევ გამოჩნდნენ, მაგრამ ეხლა ისინი ასეთი ცხელნი არიან, რომ თითქმის სდულან.

მრთი ძიარუას მთა არის ინდოეთისკენ. თითონ მთა აიბართება ერთს კუნძულზე, რომელიც მდებარებს დიდ ოკეანე—ზღვაში. ძიარუას წვერზე რომ ავიდეს კაცი, საკვირველება დაუხვდება. მთის წვერი სწორეთ უზარმაზარი ქვევრის (ჭურის) პირია და შიგ რომ ჩაჰხედო, საშინელი ღმუილი მოისმის. მთის სიღრმეში თითქოს უზარმაზარ ქვაბში სდულს მიწის ნადუღი და ზოგჯერ იმისი შხაპი მთის წვერამდის უწევს. როდესაც მიწის ნადუღიდგან ამოსულს ომხივარს და სხვა ჰაეროვანს ნიეთიერებას არა აკაეებს რა, მაშინ მიწის ქერქსაც ვერა შეარყევს რა, მაგრამ ზოგან მიწის ქერქს ქვევით გაღზავალის მიწის ნადუღის პირზე მოგროვებულს ჰაეროვანს არსებას არსათ არა აქვს ამოსასვლელი და ამისა გამო აწევება ქვეიდგან, და თუ მიწის კანი, ან პირი სუსტია, გაჰხეთქს იმას და ომხივართან, ან ჰაეროვან ნიეთიერებასთან ამოდინდება მიწის ნადუღიცა. თუ მიწის კანი მაგარია და ქვეიდამ მოწოლილი ომხივრის ძალა ვერ ამობერავს, ან ვერ გახეთქს მიწის კანს, მაშინ ის ამ პირს დაანძრევს საშინლათ და ამის გამო წარმოსდგება დამქცევი და დამამხობელი მიწის ძერა. წარსულს საუკუნეში, ამ ას თოთხმეტის წლის წინათ პირველს ნოემბერს რომ საშინელი მიწის ძერა მოხდა პორტუღალიის სახელმწიფოში და მიწასთან გაასწორა იმისი სატახტო ქალაქი ლისაბონი, შეიქმნა კაცთა შთამომავლობისათვის საოცარ სახსოვრად. ამ მიწის ძერამ შეარყია მაშინ მთელი მეროპა, ჩრდილოეთის მხარე აფრიკის ქვეყნისა, სადაც ერთ ქალაქში რვა ათასი კაცი გასწყდა იმისგამო. საკვირველი ეს იყო რომ არავინ არ მოელოდა, არა ვითარი ნიშანი იმის წინამორბედი არ იყო, ისე უცებ მოხდა. მს საშინელი ამბის დღე გათენდა მშვიდობიანათ. ძარგი დარი იყო და ყოველივე უზრუნველს ცხოვრებას მიეცემოდა. უეცრად დილის ათ საათზე მოისმა ისეთი ხმა თითქო ზარბაზანი გაესროლოსთ მიწის ქვეშ. მს ხმა თანდა-თან მატულობდა და ბოლოს იმდენზე მიაწია, რომ კაცს ეგონებოდა ასი ზარბაზანი ერთად ვარდებოა მიწის ქვეშ. შემდეგ ისე საშინლათ დაიძრა მიწის პირი, რომ სასახლეები, ეკკლე-

სიები, თეატრები და მრავალი სახლები პირიქვე დაემხვენ. ამას შემდეგ გახშირდა მიწის ძერა ისე საშინლათ, რომ ექვს მინუტს შემდეგ თითქმის ყველა სახლები დაინგრა ლისაბონში და თავის ნამგვრეებში დამარხა სამოცი ათასი კაცი. მს მაგალითიც საკმაოთ დამტკიცებს, თუ რამდენი უბედურება შეიძლება წარმოსდგეს მიწის ძერისაგან. „სასოფლო ბაზეთის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ მიწის ძერა თვით მიწის გულში გაჩენილი სიციხის ბრაღია. (იხილე მეოთხე ნომერი სასოფლო ბაზეთისა).

მუშაობის გავლენა კაცის ცხოვრებაზე.

ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ კაცის ჯანმთელობისათვის საჭიროა სამი ნიეთი: 1) საჭმელ-სასმელი და ჰაერი, 2) მუშაობა, მოქმედება ჩვენი სხეულისა და 3) საკმაო მოსვენება მუშაობის შემდეგ. ძაცის აგებულება ისეთია, რომ თუ ეს სამი ბუნებითი მოთხოვნილება არ ასრულა იმან, არა თუ მისი ჯანმთელობა—ცხოვრებაც არ შეიძლება. სწავლულები გვიმტკიცებენ რომ, ჩვენ ყოველს წამს ვკარგავთ და ვხარჯავთ ჩვენი სხეულის ნაწილებს; თითქმის თითსაც ვერ გავანძრევთ ისე, რომ რაოდენიმე ჩვენი სხეულის ნაწილები არ შემოგვეხარჯოს. მხლა ის ვთქვათ: რა გამოვა—კაცმა რომ ხარჯოს და შემოსავალი კი არსაიღამ ჰქონდეს? უეჭველია, რაც უნდა მდიდარი იყოს, გაკოტრდება;—ჩვენი აგებულებაც ისეთია, რომ ხარჯთან თუ შემოსავალი არ ექნა, ცხოვრება ვერ მოხერხდება. რაიცა შეეხება ხარჯსა, ეს ზემოთ არის მოხსენებული და შემოსავალს კი შეადგენს სასმელ-საჭმელი და ჰერი. საჭმელი სხვა და სხვა ცვლილებების შემდეგ სტომაქში და წელებში, იქცევა სისხლად და სისხლი ხორცად. ხორცის ნაწილები მუდამ იხარჯება მუშაობის გამო, შემდეგ ისევ ახლდება სისხლიდამ და ამნაირად მომდინარეობს მუდამ ცხოვრების მოძრაობა. მუშაობა ისეა ჩვენთვის საჭირო, როგორც საჭმელი; კაცი ერთ საათსაც ვერ გაჰსძლებს, თუ არ სძინავს, ისე რომ არაფერს არ აკეთებდეს: უსათუოთ ან დაიარება, ან ხელით მუშაოს, ან ტვინით—ფიქრობს რასმე და სხვა. თქვენ, რასაკვირველია, გაგეგონებათ ის ზღაპარი, ერთმა კაცმა რომ ინატრა—ნე-

ტავი ჩემ სიცოცხლეში არა ვითარი საქმე არა მქონდესო, წამოვწვებოდი გვერდზედ და ვიქნებოდი ნიადაგ ისეო. ვიღამაც ამ სიტყვების გამგონმა უთხრა თურმე—მოდო ორი კვირა წამოწექი გვერდზედ, ნურას გააკეთებ ისე იყავიო და ამდენს მოგცემო. ის რასაკვირველია თურმე სიხარულით დავთანხმე, მაგრამ ორი დღის შემდეგ წამოხტა თურმე ლოგინიდან, დაიწყო გიჟივით სირბილი და გაცხარებით მიჰყო ხელი მუშაობას. ჩვენ რომ მოწყენას ვეძახით, იმის მიზეზი უსაქმობაა. თითონ ბუნება გვამხილებს ჩვენ, რომ ვიმუშაოთ. ღარწმუნებული იყავით, რომ ვისაც ბევრი საქმე აქვს, ვინც კარგად მუშაობს ხელებით, ვინც ტენით—ის მის დღეში ვერ მოიცილის მოსაწყენათ. აბა სად სცალიან ჩვენ ხალხს მოსაწყენად, მაშინ როდესაც იმან თითქმის დღე და ღამე უნდა იშრომოს თავის ლუკმა პურისათვის. უშრომობისგან წარმოსდგება ის, რომ ზოგიერთები არიან ნიადაგ მოწყენილები, ხშირად ავთამყოფობენ, ასე რომ თითქმის სიცოცხლეც მოძაგებული აქვთ. შრომა იმას გარდა რომ უხდება კაცის აგებულებას, კიდევაც აუშჯობესებს მის მდგომარეობას; და რასაკვირველია, თუ ყოველი კაცი იშრომებს და ეცდება თავის კეთილდღეობისათვის, მაშინ მთელი ქვეყნის ცხოვრებაც გაკეთდება და კაცსაც უფრო გაუტკბება დედამიწაზე ცხოვრება.—ქიმები მუშაობას ხშირად ხმარობენ ხოლმე წამლად; მაგ. როდესაც კაცს აქვს გული აღელვებული ნამეტანი მწუხარებისაგან, ან უიმედო სიყვარულისაგან, მაშინ კაცი სწუხს, ხდება და კიდევაც კედება ხშირად. ამ ნაირ მდგომარეობაში კაცისათვის პირველი წამალია შრომა. ჩვენი უკანასკნელი სიტყვა და ჩრევა იმათთვის ვინც უსაქმოებით მოწყენილნი, ან ავთ არიან, ის არის, რომ მოჰკიდონ რამე საქმეს ხელი და მით ტყვილა ჭამის მაგივრად მოიტანონ რამე სარგებლობა თავის თავისთვის და საზოგადოებისათვისაც.

1867 წ. 1 მაისს მარკიზ დ'ურშმა საფრანგეთში დასტოვა ანდერძი რომელში სხვათა შორის ეწერა: ესტოვებ 25,000 ფრანკს (სამი ფრანკი თითქმის მანეთია) ორი საჩუქრის დასაწესებლად: 1) 20,000 ფრანკი ერგება იმას, ვინც აღმოაჩენს ისეთ საშუალებას, რომ შესაძლო იყოს მკედარი და მიძინებული, ან მკედრის მსგავსი ცოცხალი კაცი გაარჩი-

ოს ერთმანეთში. ეს საშუალება უნდა იყოს იმოდენათ უბრალო, ადვილად სახმარებელი და არა ძვირი, რომ ყოველ კაცს—ღარიბსა და მდიდარს შეეძლოს მისი ხმარება. 2) 5,000 ფრანკს უტოვებ იმას ვინც მოიგონებს ისეთ მკედრისა და ცოცხლის გასარჩეველ საშუალებას, რომელიც არ იქნება ადვილი სახმარებელი და არა საყოველთაო.

რ ჩ ე ვ ა დ ე დ ა თ ა თ ე ი ს ყ მ ა წ ე ი ლ ი ს ა ლ ზ დ ა შ ი .
(მაგრძელება).

პირუტყვი ახალ დაბადებულ თავის შვილებს არ მოიშორებს ხოლმე; თვითონ მოუწევა იმას, და ათბობს თავის სითბოთი. ასე უნდა მოიქცეს ადამიანიც. შმაწილი, როცა დედის გვამშია, ძლიერ თბილად არის ხოლმე და ახალ დაბადებულს თუ ცოტა სიცივე მოხვდა, რასაკვირველია აენებს მისს ნაზს აგებულებას. ჩვენში იციან ხოლმე—როგორც დაიბადება ბავი, იმწამს მოაშორებენ დედას და ცალკე გამოხვევენ რასმეში. ამის მაგივრად ყმაწილი რომ დედას მოუწვიონ გვერდზე თბილად, ის ეჯობინება.—

შობიარე ქალი მშობიარობის შემდეგ უსათუოდ რამოდენიმე საათი მოსვენებაში უნდა იყოს. შმაწილს დაბადების შემდეგ შეუძლია ურძეთ გაძლება თორმეტ სათამდე; მაგრამ ამოდენი ხანი არ უნდა აცდევინოთ. შეიძლება ექვს ან შვიდ საათ შემდეგ აჭამოს დედამ რძე. იმ დრომდე შობიარეც ცოტას მოისვენებს. ჩვენში დაიბადება თუ არა ბავში, პირველად ვითომ ტანში გასაწმენდათო ჩაასხმენ საწყალს პირში თუ მყარა ბალახის წვეწვს, თუ სხვა რაღაც წამლებს; ეს თუ არ აენებს, უნდა იცოდეთ, არას მოუხდება ყმაწილს: თითონ ბუნებამ დაუნიშნა იმას პირველ ლუკმად და საქმელად დედის რძე. მართლაც არაფერი არ შეერგება და არ მოუხდება ახალ დაბადებულის ნაზს აგებულებას ისე კარგათ როგორც დედის რძე. მართალია მშობიარობის რძე განსხვავებულია იმ რძიდგან, რომელიც შემდეგ ჩაუდგება დედას ძუძუში, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ეს პირველი რძე რძე თითონ ბუნებით არის იმისთვის დანიშნული რომ გაწმინდოს ახალ დაბადებული სტომაკში.

საყმაწვილო ოთახი უნდა იყოს სრული,

ნათელი და ფანჯრები მზისაკენ უნდა ჰქონდეს. ჰაერი, რაც შეიძლება წმინდათ უნდა იყოს. შმაწილის განავალი ან გასერილი საგები იმ ოთახში არ უნდა დარჩეს, რომ არ წაახდინოს ჰაერი; რაც შეიძლება ცოტა სუფთი უნდა იწვევს იმ ოთახში; ჰაერის გამოსაცვლელად დღეში ორჯელ მაინც უნდა გააღონ ფანჯრები ზამთარში; ამ დროს ყმაწვილი, რასაკვირველია, მეორე ოთახში უნდა გაიყვანოთ, სიცივემ რომ არ დაჰკრას; რასაკვირველია, რომ ყველას ის ეშჯობინება, თუ თბილი დღეა, ხშირად გარეთ გამოიყვანოთ ხოლმე წმინდა ჰაერში—კარგათ, თბილათ ჩაცმული. ეს შეიძლება ორი კვირის შემდეგ. ჩვენში ხშირად ორმოცი დღის ყმაწვილს გამოიყვანებენ ხოლმე ეკკლესიაში, რაც უნდა სიცივე იყოს; ამ ჩვენი ჩვეულების ქება ვერ შემიძლია. მღვდლების საქმეა—ურჩიონ დედებს, რომ ამ ჩვეულებისგან ყმაწვილების ავთამყოფობა და ხშირად სიკვდილი—ლმერთისთვის სასიამოვნო არ არის.

ძლიერ საჭიროა, რომ აკენის-ყმაწვილის თავისი შესაფერი საცმელ-სახურავი ჰქონდეს. ჩვენისთანა ცუდი მოვლა ყმაწვილისა, მგონი, არც ერთმა ერმა არ იცის. რასაკვირველია რა ჯანმთელობის და რა ჰკუის პატრონი უნდა გამოვიდეს ჩვენი კაცი, მაშინ როდესაც იმას ყმაწვილობაში ისე შესუდრულს ჩაწვენენ ხოლმე აკვანში, რომ მოძრაობა არა აქვს და ნიადაგ რწევით ურყევენ, უმღვრევენ ტვინს. ის კი არა თუ ყმაწვილის სხეულს მისცენ ნება თავისუფლად აზრდისა, დაიბადება თუ არა, იმას შეჰკრავენ სუღარსავით და უნგრევენ ტვინს რწევით. თუ მოინდომებთ, ყმაწვილს, როგორც გინდათ, ისე გაზრდით: დაბადებიდგანვე ნუ შესუდრავთ და აბა ნახეთ, თუ იტიროს; დაბადებიდგანვე ნუ მიაჩვევთ რწევას და ჰქიანს-აბა ნახეთ, როგორ მშვენიერად დაიძინოს; რასაკვირველია თუ ერთხელვე მიაჩვევთ ხოლმე შეკვრას და აკვანში რწევას, მაშინ იმის მოშლა გასაჭირია, კიდევაც რომ გინდოდეს მაინცა. შესუდრვას მარტო ერთი მნიშვნელობა აქვს; ის რომ ახალ-დაბადებული ყმაწვილი არ გარდატყდეს წელში ცუდათ ხელის მოკიდებით ან სხვა რამ, ჯერ სუსტი და გაუმაგრებელი ძვლები, არ მოსტყდეს. მაგრამ ამის მაგივრად განათლებულნი ერთი ხმარობენ ერთრიგ გულჩაზნექილს ბალიშსა, რომელსაც თავისი



საბანი და ლეიბი აქეს და რომელშიაც მშვენიერად ჩაიწვინება ყმაწვილი და ისე დაჰყავთ. ძილით კი ყმაწვილს უსათუოთ თავისუფლათ უნდა ეძინოს. არც შეეკრას უნდა მიაჩვიოთ და არც რწევას. ღარწმუნებული იყავით მაშინ უფრო ტანპრთელი, უკეთესი ტანადი, მოყვანილი კაცები და უფრო ჭკვიანებიც ექნებით ჩვენ, როცა ჩვენი დედები მოიშლიან ყმაწვილების შესუდრვას და აკენის რწევას. ამას გარდა აქაურ სომხის ქალებმა და ზოგან ქართველებმაც იციან ხოლმე ყმაწვილის შუბლის შეეკრა მაგრად ხელსახოცით. აქედამ წარმოსდგება ის რომ როცა ყმაწვილი გაიზრდება კეთასკენ წახრილი შუბლი რჩება და თითონ კეფა ამოწეული აქეს, ასე რომ თავი მთის ქედსა უჰგავს.—

ტანისამოსი ყმაწვილს უნდა ჰქონდეს, რაც შეიძლება, მსუბუქი, წმინდა და განიერი; პერანგი გრძელი უნდა, რომ ფეხები თფილად იყოს ხოლმე; ფეხების სითბო ყველაზედ უფრო საჭიროა: ფეხების გაცივებიდან შეუდგება ბავშვს ძლიერ ბევრი ავთამყოფობა. თავი გრილათაც რომ ჰქონდეს, არა უშავს რა, მარტო ზამთარში თუ სცივა, კი უნდა დახუროთ რამ ჩვენი საღამური ქუდივითა.—

შქეს თევზდი, სანამ ყმაწვილს არა აქეს გამაგრებული ზურგის ძვალი, არ უნდა მისცეთ დაჯდომის ნება, თორემ დიდი თავი დასძლევს ხშირად და დაეცემა; ამას გარდა შეიძლება ზურგის ძვლებიც მოშორდეს ერთმანეთს და ეს ძალიან ძნელია.— ყმაწვილის დაბადებიდანვე დედას უნდა ჰქონდეს ყურადღება, რომ ის წმინდათ იყოს: პირველ ექვს კვირას დაბადების შემდეგ ყმაწვილი ყოველ დღე უნდა დაიბანოს ნელთბილ წყალში. ბანება ყოველთვის ჭამის წინეთ უნდა; ათი მიწუტი რომ იყოს ვანაში (გობში) ძლიერსაკმაოა. ბანების შემდეგ თბილ ზეწარში ან სხ. რამეში უნდა გამოახვიოთ ხოლმე, აჭამოთ და დააძინოთ. ორი თვიდამ წლამდინ კვირაში ორჯელ ან ერთხელ მაინც უნდა აბანოთ ხოლმე ამ რიგათა; ბანების დროს კარგათ უნდა გამოიბანოს განსაკუთრებით სახსრები, მაგ. ილლია, რადგანაც ამ ნაირ ადგილებს ყმაწვილს ხშირად გამოსწავს ხოლმე სიცხისაგან.

ორი წლის მოქმედების განხილვა ძავეკაზიის სამეურნეო საზოგადოებისა.

წლევანდელს თებერვლის ოცდა შეიღში იყო წლის კრება ძავეკაზიის სამეურნეო საზოგადოებისა, რომელშიაც ამ საზოგადოების სეკრეტარმა უფ. სიტოვსკიმ განიხილა ორი წლის საზოგადოების მოქმედება. რადგანაც ეს საზოგადოება არის ჩვენში პირველი დაწესება და შესდგება მეურნეობის მცოდნე და იმისი მიმყოლთ პირთაგან, ამიტომ ვრაცხთ საჭიროთ დაებეჭდოთ ჩვენს გაზეთში რომელიმე ადგილები იმისი მოქმედების განხილვისა.

ამ განხილვაში პირველათ არის გამოთქმული სინანული მეურნეობის საზოგადოების სამთ უკეთესთ წევრთ გადაცელაზე: თავს მჯდომარე იუ. ვ. შიტტესი, პ. დ. ბნილოსაროვისა და ი. ლ. სერებრიაკოვისა, რომელნიც იყვნენ წარჩინებულნი წევრნი საზოგადოებისა. მერე აქედგან გადადის საზოგადოების საშუალებაზე, რომელშიაც ამოიბს შემდეგს:

ძონებითს საშუალებას საზოგადოებისას შეადგენსო 1) ყოველ წლობით შეწვენა მმართველობისაგან-ექვს ასი თუმანი, 2) წევრებისაგან შემოტანა წელიწადში თითო თუმანისა და 3) საჩუქარი სასოფლო სახლოსნობის მოყვარეთაგან, რომელიც არ შემოსულა უკანასკნელს ორ წელიწადში.

ზნეობითს საშუალებას შეადგენს მფარველობა მათი შმალღესობისა ძავეკაზიის ნამესტნიკისა და უმთავრესი ძავეკაზიის ნამესტნიკის სამმართველოსი:

საზოგადოების კასის მდგომარეობა.

შემოსავალი:

1867 წლიდგან დარჩა —	141 მ. 11. კოპ.
მმართველობის საჩუქარი	6000 — „ —
წევრებისაგან —	— — 30 — „ —
დახარჯულია:	
საზოგადოების სადგომის ქირაში	1,400 მან.
ძოლღექციის შემდგენს შაიერნს პენსია —	600 მან.
მწერლის ჯამაგირი —	— — — 360 —
საზოგადოების ჟურნალის გამოცემისათვის	1,600 —
წიგნებისა, გაზეთებისა და ჟურნალებისა —	300 —

წიგნების ყდებისათვის და ბიბლიოთეკის რიგზე შენახვისათვის — — — — — 50 —

თესლეულის დეპოს შემნახავს საჩუქრათ 300 —

ძალექციის შესასრულებლათ და მებელის გასამართათ 360 —

ძანცელოარის ხარჯი — — — — 450 —

შანგარიშო ხარჯი — — — — 200 —

თამბაქოსი და სათიბი ბალახების თესლის გამოსაწერათ — 71, 92.

და კიდევ სხვა დანახარჯები — 99 —

სულ 5,790.—92.
დანარჩენი 380 მან. 19. კოპ.

საზოგადოების ბიბლიოთეკისა და კოლღექციის მდგომარეობა. წლევანდელს იანვრის პირველადვე ბიბლიოთეკაში იყო ათას ოთხას ოცი თხზულებები რუსულს და უცხო ენებზე. მსენი შეადგენენ სამი ათას სამოცდა ორს ტომსა.

საზოგადოების კოლღექციაში იყო ამავე დროს სასოფლო სახლოსნობის მაშინების და სხვა სამეურნეო იარაღების პატარა სურათები ხისა-ას სამი.

ბალოსნობისა, ღვინის დაყენებისა, აბრეშუმის მოყვანისა და ფუტკრის მოშენების იარაღების სურათები ნაკეთები (ხისა)-ას ოცდა ოთხი.

შიზიკური იარაღებისა ორმოცდა შეიდი, სასოფლო შენობებისა და ხელოსნობის-რეა ას სამოცდა რეა.

მოქმედება საზოგადოებისა. წარსული ორი წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა ოცდა ორი საერთო კრება და ოცდა შეიღმეტი რჩევის სხდომა, რომლებშიაც იყვნენ განხილულნი ნამესტნიკისაგან და უფალი უმთავრესი სამმართველოს ნაჩალნიკისაგან გამოგზავნილნი საქმენი.

ძერძო პირთა თხოვნები და წევრების აზრნი გაირჩინენ სამოცდა ოთხი. საზოგადოების მფარველისაგან, მთავარმართებლის თანდებობით გამოუტანიათ სხვა და სხვა სასოფლო სახლოსნობის საქმეებისათვის: დასაბრუნებლათ ათას ოთხასი თუმანი და დაუბრუნებლათ ცხრა ას ოცდა ათი თუმანი, სულ ორი ათას ოთხას ათი თუმანი. საზოგადოებისაგან ოთხმოცდა ოთხი გადაწყვეტილი საქმე მთავარ მართველს დაუმტკიცებია; ორი არ დაუმტკიცებია და ორიც არის გან-



ხილვაში.

საზოგადოების უპირველესთ საქმეებს ეკუთვნის წამხდარი ფქვილის გამოკვლევა.

საინტენდანტოდგან გამოგზავნათ წამხდარი ფქვილის ნიმუში, რომელსაც ჭია დახეოდა და უნდოდათ გაეგოთ მიზეზი, საშუალება და იმისი მანებლობა.

მიზეზი და საშუალება საზოგადოებას ებოვება და მანებლობის გაგება კი „საჭეჭიმო რჩევისათვის“ მიენდო. შიის ფქვილში გაჩენის მიზეზი ნოტიო და სითბო არის; გარდა ამისა სარდაფების უწმინდურობა და იმათ ახლო ნაგავიც ბევრს აწებებს, რადგანაც იქიდგან ჭია ჭუა ფქვილში გადაღისო. ამის მოსასობათ საჭიროა სიმშრალე, სიწმინდავე და ფქვილის გაცრა.

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ის ა გ ა ნ მ ო ნ ა წ ი ლ ე ბ ის მ ი ლ ე ბ ა პ ა რ ი ჟ ის გ ა მ ო ფ ე ნ ა შ ი. საზოგადოების წევრები იყვნენ ამორჩეულნი პარიჟის საქვეყნო გამოფენის კამიტეტში. ამ კამიტეტს მთავარმართებელმა მისცა სახარჯოთ გასაგზავნი ნივთების შესამზადებლათ ას ორმოცდა ათი თუმანი. გარდა ამისა ათასი თუმანიც ხელოვნების საგნების სასყიდლათ მიეცა კამიტეტის თავს მჯდომარეს ს. ი. ტრუბეცკოის სესხათ მთავარმართებლის ბძანებით; ნივთები რომ გაყიდულიყო გამოფენაზე, ეს ფული ისევ უნდა დაებრუნებინა.

რადგანაც ჩვენში ხელოსნების საზოგადოება არ არის ჩავარდნილი საკმაო გონში, ამიტომ კამიტეტებმა ძლიერ იმოვნა ხელოვნების ნივთები (ოქროსი, ვერცხლისა, ოქრომკედით ნაკერები და სხ.) პრავის ჰსურდა გაეგზავნა თავისი ნახელოსნარი საზღვარს გარეთ, ვიდრე ან სრულს ფულს, ან ნახევარს მაინც წინათ არ მისცემდა. მაგრამ დიდის ცდით მაინც ოთხი ათასი სხვა და სხვა ნივთი გაიგზავნა გამოფენაზე. ეს ნივთები გაგზავნეს ას სამოც და რვა ექსპონენტებმა (რომლებიც ნივთებს გზავნიან გამოფენაზე, რომ ჯილდო რამ მიიღონ, იმათ ექსპონენტებს ეძახიან). ამ რიცხვში არ არის შეტანილი მუზეიდგან (საცა უცხო ბუნების საგნები აწყვიდა) გაგზავნილი კოლექციის ნივთები და კოლექცია.

შველა ჩვენი მხრის გამოსავლის საგნების ნიმუშები გამოფენაზე წაიღო საზოგადოების სეკრეტარმა, რომელიც იყო დანიშნული დე-

პუტატათ; ამას მიეცა ხარჯათ ას ორმოცდა ათი თუმანი.

ზოგიერთი აქაური ნივთი ძალიან მოეწონათ სამთელ-ქვეყნო გამოფენაზე, როგორც საზოგადოებას, აგრეთვე ჟურებს (რომელნიც ნივთების სიკეთეს აფასებდნენ). ჩვენებური ხალიჩები, ფარდაგები, ქეჩები, თივთიკები და თიხის ჭურჭელი მაშინვე დაეტაცნათ (ესყიდნათ), პირველნი სიკეთისა და უკანასკნელი იშვიათობის გამო. აქაურმა პურმა, ყველმა პლექსანდრეს გილფის საზოგადოებისამ, თევზეულმა, ლენომ, თამბაქომ და პაპიროსებმაც მიიღეს ქება, დამფასებლებისაგან (ექსპერტებისაგან); მაგრამ ზოგი იძახდა პაპიროსები ცუდათ არის დაგრეხილებიო. გამხმარი ხილი, სულხანოვის გაგზავნილს გარდა, არ ვარგოდა; ჩურჩხელებზე და თათარაზე ბევრი ეცინათ. ოქრომკედით ნაკერებს ბევრი დედაკაცები დახვეოდნენ, რომელთაც დაეფასებინათ ხელობა და ეთქოთ მხოლოთ მდიდრებისათვის არიან ეს ნივთებიო. აბრეშუმისთვის, ბამბისთვის, ენდროსთვის და ნავთის სანთლისათვის ბევრი ქებაები ეთქოთ და შემდეგაც კარგი ექნებათო. აქეთა ძავეკაზიის კარტას ყველა მოეყვანა აღტაცებაში, რომელსაც დაებნელებინა სუესის კარტაცა, რომელზედ მთებიც კი არის გამოყვანილი.

ძავეკაზიის ექსპონენტებთაგან, რომელთაც გაგზავნეს სამთელ-ქვეყნო გამოფენაზე ნივთები, მცოდნე კაცების კამმისიისაგან მიეცათ საჩუქრები შემდეგთ:

- 1) ობილისის გუბერნიის ნემენცის კოლონიებს მიეცათ ოქროს მენდალი, რადგანაც იმათ წარუდგინეს ყველა სახლოსნობის გამოსავლის საგნები.
- 2) ა. ი. დეიჩმანს ლენისა და სიმინდისათვის.
- 3) შიტტე და კ. ნავთის სანთლისათვის.
- 4) ძმებს შორონინებს აბრეშუმისათვის.
- 5) ჩილინგაროვს მაულზე ნაკერისათვის.
- 6) ძავეკაზიის მიურნეობის საზოგადოებას სასოფლო სახლოსნობის კოლლექციისათვის.
- 7) ობილისის კამიტეტს, რომელმაც აქეთა ძავეკაზიის გამოსავლის საგნების კოლექცია წარუდგინა.

ქ ე ბ ა.

8) შმთაერესი ძავეკაზიის ჯარის შტაბის ფოტოგრაფიის ქარხანამ მიიღო ქება, ფოტოგრაფიის სახეებისათვის.

ვინსპერგის დედაკაცები *)
დ ე ლ ი გ ე რ მ ა ნ ი უ ლ ი
(პ. შეინბერგიდგან.)

1.
ქონრად მოგენშტაუფენი **)
აგერ ჩამდენი ხანია
იმრგვლივ ქალაქსა ვინსპერგსა
დიდის ლაშქრით აყენია.
თუმცა მტერი მინდორზედა
სრულიადა დაამარცხა,
მოქალაქეთა შეპყრობა
მერას გზით ვერ მოახერხა.


2.
ქალაქს საზრდელი მოაკლდა
და შეიქმნა შიმშილობა...
ქონრადს მიჰმართეს გოდვითა
და სთხოვეს მასა შენდობა.
„თქვენისა შევიღისრებითა
ბევრი მომიკლდა ლაშქარსა,—
რაც უნდა მოგივიდოდეთ
სისხლს ვერ დავტოვებ მე მათსა...“

3.
მოქალაქეთა ცოლებმა
მაშინა სთხოვეს ქონრადსა:
„პრას ფერში ურევივართ—
ნუ დაიდებ ჩვენს ცოდვასა.“
სრულიადა დაამარცხეს
ბმირი ესე ქალთა ცრემლთა,—
ამაყობა განეშორა
და ბრძანა ფრიად მშვიდათა:

4.
„თავისუფლათა განვიდნენ
ქალაქიდგანა ცოლები,—
რაც ჰსურდეთ ძვირფასთაგანი
და რასაც მოერევიან
თინა წაიღონ ნივთები.“
ამ გვარი მოწყალება
ქალთ სიამოვნებით მიიღეს—
მოახსენეს მას მადლობა
და მდებლათ თავი დაუტრეს.

5.
რა დაიწყო განთიადი
და მზემ განჰფანტა ღრუბელი,

*) ვინსპერგი ანუ შეინსპერგი ქალაქია ვირტემბერგის სამეფოში.
**) ქონრადი მესამე მოგენშტაუფენი, გერმანიის იმპერატორი 1138—1152 წ.



ლაშქარს თვალ წინ წარმოუდგა
ხერხი ქალთა საკვირველი:
ქალაქის კარნი განიხშენენ—
ქალები ზნეკით მოდიან,
მძიმედ აღგამენ ნაბიჯსა.—
ტივრთსა ძლიერა ერევან...
6.

საპალნე სდრეკავთ საშინლად,
წელი ვერ აუმართათ—
საუნჯე უფრო ძვირფასი
ძრმები წამოუკადნიათ!...
„არ გაუშვით ვგ მაცდურნი!“
აშაყდა ყვირის მტერი...
„მეფეს ვგ არ უნებნია!“
სულ თმასა იგლეჯს ვეზირი.
7.

მკვირცხლავ მიზბიან ძონრადთან,—
იგი მოჰყვება სიცილსა:
„თუმცა ვგ გულში არ მედვა,—
შაქვბ საკვირველს ცოლებსა!
რაცა მითქვამს არის წმიდა,
სიტყვას ვერ გაფტებ ჩემსასა,—
იცოდეთ რაცა წარმოვსტკვი,
არ დავარდევ არ ვისთვისა!“
8.

მსრედ უბიწოდ დაიცვა
მეფის ტახტისა ღირსება;
ერთა პირთაგან ყოველთვის
ისმის ძონრადის დიდება...
დაუყოვნებლივ მინდობა
მეფეებისა სიტყვათა,
როგორც სჩანს, კიდევ შეეძლოთ
ბერმანიელებს ძველათა.

ზ. ხითაროვი.

მ. ბორი.

საოჯახო ცნობები.

ახალი ვაზის ავთმყოფობაზედ.
რუსულს „სამეურნეო გაზეთში“ არის გამო-
ცხადებული, რომ შირიმში აღმოჩნდა ახალი
ყურძნის ვაზის ავთმყოფობა. მიზეზი ამ ავთ-
მყოფობისა, როგორც გამოიკვლია ერთმა ში-
რიმის მეოჯახემ შარშან სექტემბერში, არის
ერთი პატარა ტილის მსგავსი ჭია, რომელიც
ზაფხულ და შემოდგომაზედ აზის ხოლმე ვა-
ზის ღერზე, ფოთლებზედ და თითონ ყურძ-
ნის მტევანზედაც, და აფუჭებს ამებს; ზამთარ-

ში კი ეს მატლი სცხოვრებს მიწაში ვაზის
ძირთან. ეს ავთმყოფობა, როგორც ეხლა
აღმოჩნდა კი ხანია ყოფილა სამხრეთის სა-
ფრანგეთში და ბევრი უზარალებია იქაური
მემამულეებისათვის. ამ ავთმყოფობისაგან
შეიძლება გაანთავისუფლოს კაცმა ვაზი შე-
მოდგომაზე რომ შეაშხეფო ვაზს და მორწყ-
ყო ვაზის მიწა თამბაქოს ნახარში წყლითა,
ან რომ ვაზის ღერს წაუსვა ცოტა ნავთი.—

ცხვის საკრეჭავი მაშინა.
ერთ ნემენცურ გაზეთში სწერენ, რომ ამ
დღეებში ენახეთო ახლად მოგონილი ცხე-
რების საკრეჭავი ორთქლის მაშინა. მაშინას
მოჰყავს მოძრაობაში ორი ერთი მეორეზედ
გარდაბმული ჩარხი. ერთ ჩარხზე არის მოწყ-
ობილი საეარცხელი და მაგრატელი იმ რი-
გათ, რომ საეარცხელი ბორბლების ტრიალის
დროს ჰკიდებს ხოლმე კბილებს მატყლსა და
იმ დროსაც მაგრატელი თავისით ჰსჭრის. მა-
შინა ძლიერ ადვილი სახმარებელია და ძლი-
ერ მალე და წმინდათაც მუშაობს. ამ მაშინ-
ას ჯერ გამოცდას უბირებენ მცოდნე კაცე-
ბი და შემდეგ საზოგადო ხმარებაში შევა,
თუ კარგი გამოდგა.—მაშინის გამკეთებელს,
ამბობენ, სამი წელიწადი უმუშავენია იმის გა-
საკეთებლად.—

ხორციის შენახვა.

ანგლიაში დანიშნეს შარშან დიდი საჩუ-
ქარი იმისთვის, ვინც მოიგონებს უკეთესს სა-
შუალებას, რომ რაც შეიძლება დიდხანს შე-
ინახებოდეს ხორცი წაუზღენლათ. ესლა ამ
გვარი საჩუქარი (9,000 მან.) ამერიკაში და-
ნიშნა არგენტინის რესპუბლიკის მმართვე-
ლობამაც.—რალა ლაპარაკი უნდა, ამ ნაირი
საშუალება რომ მოიგონონ ძალიან სასარ-
გებლო იქნება ყველასთვის, ნამეტურ ომი-
ნობისა და მგზავრობის დროს.

ცნობა პურის ცნობაზე.

ზამოხენილმა ნემეცის ხიმიკოსმა იუსტუს
ლიბინმა აღმოაჩინა ახალი საშუალება პურის
გამოცხობისა. საქმე იმაში მდგომარეობს,
რომ ხორბალს დაფქვის დროს ეკარგება ფეტვ-
თან ბევრი ნოყიერი და მარგებელი ნაწილე-
ბი. ამ დაკარგული ნაწილების მაგიერათ უ-
ლიბინი უმატებს ფქვილში დამწვარ და დაფ-

ქვილს ძვალს და სხვა ნაწილებს, რომელიც
მოაკლდა ფქვილს დაფქვის დროს. ამ ნაწი-
ლიად შემზადებული პური, როგორც ამბო-
ბენ, გამოდის ძლიერ ნოყიერი, მარგებელი
და თეთრიცა.—

ცხვის სისიძვირე.

საფრანგეთში ერთმა მეოჯახემ გაჰყიდა ოც
და ათი ცხვარი მერინოსის მოდგმისა—შვი-
ლი ათას მან. ერთი საუკეთესო იმათაგანი
გაიყიდა ათას მანეთზე მეტად. მერინოსი არის
ისპანიის საუკეთესო მოდგმის, გრძელი და
მშვენიერი მატყლიანი ცხვარი. ამ ცხვის სიძვი-
რე ამტკიცებს იმას, თუ რაოდენათ შეიძლება
გააუმჯობესოს კაცმა საქონელი კარგათ მოე-
ლით და ცოდნით, ნამეტურ თუ საქონელიც
კარგი ჯინსისა არის.

სხვა და სხვა ამბავი.

— ერთს სომხების დიაკვანს მღვდლათ
კურთხევის უარი უთხრა ეჩმიაწინის სასული-
ერო მთავრობამ იმ მიზეზის გამო, რომ იმ
დიაკვანს ერთ ხელზედ ჰქონდა ექვსი თითი,
ასე რომ დიაკვანი იძულებული იყო ან ის
მეტი თითი მოეჭრა და ან მღვდლობაზე ხე-
ლი აეღო. იმან არჩია პირველი და ამის შე-
მდეგ შეიქნა ღირსი მღვდლათ კურთხევისა.

საზღვევო საზოგადოება პირუტყვის ჭირის დროს.

დიდი ხანია მეროპაში არიან საზოგადოე-
ბანი, რომელთაც ჰქვიან სახელად „საზო-
გადოება საზღვევო პირუტყვის ჭირის
დროს“. ესლა ამ ნაირი საზოგადოებაები
სდგებიან ზოგიერთ რუსეთის ქალაქებშიაც
და პოლშაში. ამ საზოგადოების დანიშნუ-
ლება ის არის, რომ რაც შეიძლება გააუმჯო-
ბესონ პირუტყვის ცხოვრება და რამოდენა-
თაც შეიძლება შეამცირონ ის მიზეზები, რომ-
ლის გამო უფრო ხშირად წარმოსდგება პი-
რუტყვის ჭირი, ე. ი. ცუდი მოვლა, ცუდი
საჭმელი და სხ. ამას გარდა, თუ ვინცობაა
რომელიმე ამ ნაირ საზოგადოების წევრს გა-
უჩნდა პირუტყვში ჭირი, მაშინ მთელი საზო-
გადოება ვალდებულია უზღოს მას იმ ჭირი-
საგან ზარალი და მისცეს მას, შეძლებისამებრ,
ან სრული ფასი ჭირისაგან დახრილი საქო-
ნლისა, ან ნახევარი, ან მესამედი. შოველი

წერი საქონლის თავზე ვალდებულია შეიტანოს საზოგადოებაში—ნახევარი მანეთი, ან მეტი, ან ნაკლები, საზოგადოების კანონებზე არის დამოკიდებული. ამ ნაირი საზოგადოებები ჩვენში რომ იყო, ძლიერ კარგი იქნებოდა,—ამიტომ რომ ჩვენში კარგად ხშირად არის პირუტყვის და შინაური ფრინველების ჭირი. რასაკვირველია ამ ნაირ საქმეს ცოდნით და წინ დახედვით უნდა მოჰქილოს კაცმა ხელი. მეროპაში ასეა ხოლმე: შეიყრებიან რამოდენიმე პირუტყვის პატრონები, შეადგენენ საზოგადოებას და ამოირჩევენ თავისგან ხუთ ან რამდენიმე კაცს და ეს ხუთი კაცი მაგ. შეადგენს საზოგადოების კანონებს, თუ რა პირობით შეიძლება ვისიმე მიღება საზოგადოების წევრად. რამდენი უნდა შემოიტანოს თითო წევრმა პირუტყვის თავზე, რა თავდარიგი უნდა მოიხმარონ ჭირის დროს და სხვ. ჩვენში სასოფლო სასამართლოებმა რომ მოინდომონ ძლიერ კარგად მოახერხებენ ამ საყოველთაო სასარგებლო საქმის გაკეთებას. რამდენიმე სოფელი რომ შეიყაროს და შეადგინონ ამ რიგი საზოგადოება რასაკვირველია ის ევჯობინებას, ვიდრე ერთი სოფლის მცხოვრებლის შედგენილ საზოგადოებას; ამიტომ რომ პირუტყვის ჭირმა რომ მოიდგას ერთ სოფელში ფეხი და ამოწყვიტოს ბევრი პირუტყვი, მაშინ იმ სოფლის საზოგადოებამ თითონ უნდა გამოიბრუნოს ისევე ხელი და სხვა სოფლებსაც რომ ჰქონოდა მონაწილეობა ამ საზოგადოებაში, მაშინ კი ბევრი იქნებოდა ვალდებული სოფლის შეწევნისა და ამ ბევრს არაფრად დააკლდებოდა ესა—ესთქვათ მაგ. შესდგა სადმე ამ ნაირი საზოგადოება; საზოგადოების წევრები მაგ. ორასია; ამ ორას კაცს ესთქვათ თითო ჰყავს ორი პირუტყვი (ხარი, კამბეჩი, ცხვარი და სხვ.) წევრმა თითო პირუტყვის თავზე რომ ოთხი აბაზი შეიტანოს წელიწადში, ეს შეადგენს საზოგადოებაში ას სამოც მან. მხლა ესთქვათ, ყოველ ოთხ წელიწადში რომ ეთრხელ გაერიოს ჭირი ამ წევრების საქონელს და კვდებოდეს რვაასი საქონლიდამ 100 მაშინ თითო საქონელზე ერგება მის პატრონს შეიდ მანეთამდე; ეს შეიდი მან. ან თუმანი კამბეჩის მაგიერობას ვერ იქს მართალია. მაგრამ ცოტას მაინც შე-

ამსუბუქებს მის პატრონს. შეიდი მან. საშუალო რიცხვია; რასაკვირვებლია ვისაც კამბეჩი მოუკვია ჭირისაგან, იმას უფრო მეტი ერგება, ვიდრე იმას, ვისაც ცხვარი და ან სხვა წერილი პირუტყვი. საზოგადოების პირველი ვალი ის არის, რომ როგორც გაჩნდება ჭირი იმ წამს უნდა ჭირით ავთამყოფი საქონელი მოკლას და დამარხოს ღრმათ მიწაში, ან მოაშოროს სხვა პირუტყვებს და უწამლონ, თუ მორჩენის იმედია, რომ მით დაიცვას სხვა იმ სოფლის პირუტყვები ავთამყოფობისაგან; თორემ ჩვენში იციან—პირუტყვი რომ ავთ გახდება ჭირისაგან, სანამ თავისით არ მოკვდება, მანამ ხელს არ ახლებენ და სხვა პირუტყვებთან ჰსძივს და ნიადაგ ერთად არის. ამისგან წარმოსდგება ის, რომ სანამ ის მოკვდება, მანამ ხუთს მაინც დამართება და აქედამ ყველა სოფლის საქონელს. უნდა ეცადოს კაცმა, რომ თავიდანვე მოსპოს ჭირი, თორემ რომ გაძნელდება, მერე ძლიერ ძნელია იმის მოსპობა. სოფლისთვის უფრო სასარგებლოა ერთი ჭირიანი კამბეჩი მოკლას მაგ. და გარდინდოს იმისი ფასი, ვიდრე ოცის და ორმოცის საქონლის მოკლება, თუ ჭირი გაძნელდა. ჭირის დროს კარგი იქნება, რომ რომელიმე ნასწავლ პირუტყვის ექიმს (მეტერინარს) მიმართოს, მის მაგიერად რომ ჩვენებური უცოდინარი ექიმი მოიწვიოს, რომელიც ატყუებს ხალხს შელოცვით ან სხვა ამისთანა სისულელეობით. ჩვენში ამ ჩვენებურ

ექიმებს, მარჩიელებს, როგორც იმათ უძახიან ძლიერ დიდი ნდობა აქვთ; რა მათ უძახიან—ჭირუტყვს—კაცებსაც კი უფლებენ—იმათ მსგებლობა მე კი, რომ მკითხო, იმათ კაცის სულს კი არა საქმეს არ მივანდობდი, რადგანაც იმათ ხალხის მოტყუების მეტი არა იციანრა.

თუ სადმე იქნება, იმგვარი საზოგადოება რომელზედაც ზევით იყო ლაპარაკი, შესდგება და შეგვატყობინებენ ჩვენ, ყოველთვის მზათ ვართ, რაც შეიძლება დარიგება და რჩევა მივცეთ იმათ და უფრო დაწვრილებითაც მოვილაპარაკებთ მაშინ ამ საქმეზედ.—

„მთავრობის უწყება“ გვაცნობებს შედგეს შესანიშნავს ამბავს: წარსული დეკემბრის ჩიღმეტს სოფელი ძრუჩინცის გლეხს სილვესტრ შეფიუს ოცის წლისას და იმის დას ანნას, თორამეტის წლისას, დასცემიათ მენი კალოზედ, რომელზედაც პირველი ლეწდა შვირიას, და მეორე იმის ახლო, ჰაუზში რეცხდა სარეცხსა; ამისაგან დამწვარა თითონ კალო და რაც კალოზე ყოფილა პური, შვირიო და თივა სულ ოცდა შეიდ თუმან ნახევრისა. როცა ცეცხლი გაქრა, მინდორზე ორიოდ კაცის ძელები ძლივს ეპოვათ.

საბიზლიოგრაფიო ცნობა. ბუნების კარი,

საქმავშილო წიგნი დაბალ კლასეზი სახმარეზილი, შედგენილი ი. ზოგებაშვილისაგან, სტამბიდეგან გამოვიდა; წიგნს შეადგენენ სხვა და სხვა სტატიები: ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანთროპოლოგიური, ფიზიკური და გეოგრაფიული. საზოგადო გეოგრაფიის ცნობების შემდეგ დაბეჭდილია საქართველოს გეოგრაფია. წიგნი თავდება ლექსებითა და მასთან დამატებულია საქართველოს კარტა, რომლის მაშტაბი 40 ვერსია ერთ დიუმიზედ. სივრცით წიგნი ცამეტ ბეჭდის თაბახს იპყრობს თაბახის 12/0 ტანისასა. „ბუნების კარი“ ისყიდება ამ ხანობით მხოლოდ სასულიერო სემინარიაში, ი. ზოგებაშვილისასა და უ. მართანოვის საწიგნო მაღაზიაში.—შასი ყველგან 65 კაპეიკია.